



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი no. 7975/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი
2010 წლის 2 თებერვალი

საბოლოო გახდა
02/05/2010

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეში: კლავს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე,
ირენეუ კაბრალ ბარეტო
ვლადიმერო ზაგრებელსკი,
დანუტე იოჩიენე,
ანდრას შაიო,
ნონა წოწორია,
ისილ კარაკასი, მოსამართლეები
და *სალი დოლე*, სექციის განმწესრიგებელი,
განხილა რა საქმე პალატის 2009 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე, გამოიტანა
შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (no. 7975/06), რომელიც 2006 წლის 22 თებერვალს სასამართლოში წარადგინეს საქართველოს მოქალაქეებმა, ბ-ნებმა *კლავს კილაძემ* და *იური კილაძემ*, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. მომჩივნებს წარმოადგენდა ქ-ნი *სოფიო ჯაფარიძე*, ადვოკატი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან („საია“), აგრეთვე, ბ-ნები *ფილიპ ლიჩი* და *ბილ ბოურინგი* - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის („EHRAC“) ადვოკატები *ლონდონიდან*. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი *ბესარიონ ბოხაშვილი* - სახელმწიფოს წარმომადგენელი.

3. მომჩივნები განსაკუთრებით ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ კომპენსაციის მიღების უფლებით, რომელიც მათი - პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლების - სტატუსიდან გამომდინარეობდა.

4. 2006 წლის 21 მარტს სასამართლომ მოცემული საჩივრის განხილვას პრიორიტეტი მიანიჭა (რეგლამენტის 41-ე მუხლი) და 2006 წლის 6 ივლისს მან გადაწყვიტა მთავრობისთვის ეცნობებინა მომჩივანთა მიერ კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლისა და კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების შესახებ (რეგლამენტის 54 (§2 „ბ“) მუხლი). კონვენციის 29-ე (§3) მუხლის საფუძველზე, სასამართლომ ასევე გადაწყვიტა საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

5. როგორც მომჩივნებმა, ისე მთავრობამ სასამართლოში წარმოადგინეს წერილობითი მიმოხილვები (რეგლამენტის 54-ე („ა“) მუხლი)

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

6. მომჩივნები - *კლაუს და იური კილაძეები* - ძმები არიან, დაბადებულნი შესაბამისად 1926 და 1928 წლებში და ცხოვრობენ *თბილისში*.

7. 1937 წლის 2 ოქტომბერს, საბოტაჟისა და ტერორისთვის გასამართლების შემდეგ, მომჩივნების მამა დახვრიტეს.

8. 1938 წლის 7 ნოემბერს, საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მიმართული აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით, მომჩივანთა დედას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და გადაასახლეს საბჭოთა კავშირის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე „Гулаг“-ის („Генеральное управление Лагереи“) სპეციალურ საპატიმრო ბანაკში.

9. დარჩენ რა მარტო, ქ. *თბილისში* მდებარე თავიანთ საცხოვრებელ სახლში, მომჩივნებს, რომლებიც შესაბამისად 12 და 10 წლისანი იყვნენ, დაპატიმრების შიშით, ვერცერთი მეზობელი ვერ ეკარებოდა. თავდაპირველად, თვე-ნახევრის მანძილზე, მომჩივნები მოათავსეს ქ. *თბილისის* ბავშვთა მიმღებში. იქ არსებული ცუდი კვებისა და სიბინძურის გამო, მომჩივნები ტიფით დაავადდნენ. ამის შემდეგ, ძმები, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამხედრო კომისრის 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანების („1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანება“) საფუძველზე, *საქართველოდან რუსეთში, სტავროპოლის რეგიონში*, უდემამო ბავშვთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც მათ ორი წელიწადი გაატარეს. ექვემდებარებოდნენ რა „სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების კონტროლს“, მომჩივნებს მუდმივად სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ, ერთი მხრივ, დაწესებულების პერსონალი, როგორც „სამშობლოს მოღალატე“ მამის შვილებს, ხოლო მეორე მხრივ, სხვა ბავშვები, როგორც ქართველებს *სტალინის* სამშობლოდან. გარდა ამისა, მომჩივნებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. 60 ბავშვს ერთ ოთახში ეძინა ერთ გრძელ ჭილობზე; ერთი საწოლი 5 ბავშვს უნდა გაენაწილებინა. იმავე ოთახში მდებარე ხის კასრს კი საპირფარეშოდ („პარაშა“) იყენებდნენ. ოთახში არც ონკანის წყალი მოდიოდა. ამის გამო მომჩივნებს რწყილები გაუჩნდათ და მუნი შეეყარათ.

10. დედის დაპატიმრებისთანავე, მომჩივნებს *თბილისში* მდებარე 90 მ² ფართობის საცხოვრებელი სახლი, უძრავ ქონებასთან და სხვა პირად თუ საოჯახო ნივთებთან ერთად, დაუყოვნებლივ ჩამოართვეს.

11. 1940 წელს, *კლაუს და იური კილაძეების* ბებიამ მათი მეურვეობის უფლება მიიღო. საქართველოში დაბრუნებულებს, ჯერ კიდევ ბავშვებს, ფიზიკური შრომით თავის რჩენა უწევდათ. ამის შემდეგ, მთელი მათი აქტიური ცხოვრების მანძილზე, სსრკ-ის პერიოდში, მომჩივნები, როგორც „სამშობლოს მოღალატის“ შვილები, მეტად ძლიერ სოციალურ და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდნენ.

12. 1945 წელს მომჩივნების დედა გაათავისუფლეს და ის *თბილისში* სურავანდით (იყო რა იმ დროს 42 წლის, მას არცერთი კბილი აღარ ჰქონდა), პლევრიტითა და გასტროენტერიტით დაავადებული დაბრუნდა. 1956 წლის 4 მაისს სამხრეთ კავკასიის სამხედრო სასამართლომ გააუქმა 1938 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და მომჩივნების დედის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, იგი რეაბილიტირებულად ცნო. 1957 წლის 30 აგვისტოს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ, იმავე მოტივით, გააუქმა 1937 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მომჩივნების მამაც რეაბილიტირებულად სცნო.

13. 1991 წლის 16 მარტს მომჩივნების დედა გარდაიცვალა.

14. 1998 წლის 6 მარტს მომჩივნებმა მიმართეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, მათი მშობლების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის, მათი ქონების კონფისკაციისა და ბავშვთა თავშესაფარში მათი ყოფნის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. 1998 წლის 1-ელ ივლისს, მათ მიიღეს პასუხი, რომ არავითარი ინფორმაცია არ იყო შემონახული ბავშვთა თავშესაფარში მათი ყოფნის შესახებ. რაც შეეხება ინფორმაციას მათი მშობლების შესახებ, სამინისტროს არქივები 1991-1992 წლების სამოქალაქო ომის დროს დაიწვა. მომჩივნებს ურჩიეს, შეეგროვებინათ რამდენიმე თვითმხილველი მოწმის მონაყოლი, დაემოწმებინათ ნოტარიული წესით და მიემართათ, მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ტერიტორიულად კომპეტენტური სასამართლოსთვის ფაქტის იურიდიულად დადგენის მოთხოვნით.

15. 1998 წლის 16 მარტს მომჩივნებმა *საბურთალოს* რაიონის 1-ელი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით მიმართეს და მოითხოვეს მათი და მათი მშობლების პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად აღიარება.

16. 1998 წლის 19 აგვისტოს მომჩივანთა მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა.

17. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც საბოლოო გახდა 1998 წლის 2 სექტემბერს, მომჩივნებმა 2005 წლის 15 მარტს მიმართეს *თბილისის* საოლქო სასამართლოს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ისინი ეყრდნობოდნენ 1997 წლის 11 დეკემბრის „*საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ*“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლს („1997 წლის 11 დეკემბრის კანონი“), რომელიც ძალაში 1998 წლის 1-ელ იანვარს შევიდა. აკეთებდნენ რა აქცენტს მათი მამის დახვრეტაზე, დედასთან განშორებაზე, ჯერ ბავშვთა მიმღებში, ხოლო შემდეგ თავშესაფარში მათი ცხოვრების პირობებზე, მათი ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე, მათი მშობლების დაპატიმრებიდან ზრდასრულ ასაკამდე განცდილ დამცირებასა და რეპრესიებზე, ასევე მათი დედის დაპატიმრებისთანავე მათი ქონების კონფისკაციაზე, მომჩივნები ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე ითხოვდნენ 515 000 ლარის (დაახლოებით 208 000 ევრო) ოდენობის კომპენსაციის გადახდას თითოეული მათგანისთვის, საერთო ჯამში განცდილი მორალური და მატერიალური ზიანის გამო.

18. მოპასუხე მხარე, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი, ამტკიცებდა, რომ მომჩივანთა მოთხოვნა უსაფუძველო იყო, ვინაიდან 1997 წლამდე მოქმედი კანონმდებლობა მორალური ზიანის ანაზღაურებას არ ითვალისწინებდა, ხოლო 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით გათვალისწინებული „კანონი“ ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

19. 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით *თბილისის* საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მომჩივნების წარსულთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, გარდა ქონების კონფისკაციისა. ამ უკანასკნელ ფაქტთან მიმართებით, დაეყრდნო რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე (§3) მუხლს, საოლქო სასამართლომ მომჩივნებს დაუპირისპირა კონფისკაციის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებების არარსებობა, მიიჩნია რა, რომ თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები არასაკმარისი იყო. გარდა ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო, თუმცა მას არ მიუთითებია, რომელი ხანდაზმულობის ვადა უნდა ყოფილიყო გამოყენებული და რა მომენტიდან უნდა დაწყებულიყო აღნიშნული ვადის ათვლა. და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივანთა მოთხოვნა არ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან „კანონები“, რომლებზეც მიუთითებდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლები, ჯერ კიდევ არ იყო მიღებული.

20. მომჩივნებმა საკასაციო სარჩელი შეიტანეს. მათ მიუთითეს, რომ 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე (იხ. §26 ქვემოთ), ყველა იმ პირის მეუღლეს, რომელიც მსჯავრდებული იყო, როგორც „სამშობლოს მოღალატე“, სასჯელის სახით უნდა შეფარდებოდათ 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, მათი მცირეწლოვანი შვილები საქართველოს ტერიტორიის გარეთ მდებარე ბავშთა თავშესაფარში უნდა ყოფილიყვნენ მოთავსებულნი, ხოლო უძრავი და მოძრავი ქონება აუცილებლად უნდა ჩამორთმეოდათ. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანთა მამის მსჯავრდებას შედეგად აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ყველა ზემოაღნიშნული ზომის გატარება და იმ კონტექსტიდან გამომდინარე, რომელშიც მოვლენები განვითარდა, არგუმენტი ქონების კონფისკაციის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებების არწარდგენის შესახებ არ შეიძლებოდა მათთვის დაეპირისპირებინათ. მომჩივნები შეახსენებდნენ, რომ მათი მოთხოვნა ეფუძნებოდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს და ვერ იქნებოდა ხანდაზმული იმ მომენტიდან, როდესაც მათ მოთხოვნებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივნები მიიჩნევდნენ, რომ მათ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე (§3) მუხლის საფუძველზე, ჰქონდათ კომპენსაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, მომჩივნები აპროტესტებდნენ იმ ფაქტს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის ძალაში შესვლიდან თითქმის 8 წელი იყო გასული, ხოლო სახელმწიფოს არავითარი ზომები არ მიუღია შესაბამისი კანონის მიღებისა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდის კუთხით, როგორც ეს კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში *in fine* იყო აღნიშნული. მომჩივანთა

მტკიცებით, აღნიშნულ მსხვერპლთა რაოდენობა, რომლებიც ასაკოვნები იყვნენ, მცირდებოდა და მათი აზრით, სახელმწიფო ელოდებოდა, რომ მათი გარდაცვალება კომპენსაციის პრობლემას მოხსნიდა. იმ კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, რომელიც ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პარლამენტში 2001 წელს უშედეგოდ წარადგინა სადავო საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოფხვრის მიზნით, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რაოდენობა, კატეგორიების მიხედვით, 600-დან 16 000-მდე მერყეობდა.

21. 2005 წლის 2 ნოემბერს *საქართველოს* უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა საკასაციო სარჩელი, დაეთანხმა რა საოლქო სასამართლოს არგუმენტაციას ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით მტკიცებულებათა არასაკმარისად წარმოდგენის ნაწილში და უარყო მომჩივანთა მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, საკასაციო სასამართლომ მომჩივანთა წინააღმდეგ განხორციელებულ რეპრესიასთან დაკავშირებული ფაქტები, როგორც ეს მოცემულია ზემოთ, მე-7-მე-9 და მე-11 პარაგრაფებში, დადგენილად მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე (§1) მუხლში მითითებული „კანონი“ ამ შემთხვევაში გულისხმობდა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს, რომელიც წინამდებარე საქმეში *lex specialis*-ს წარმოადგენს. სასამართლომ დაასკვნა, რომ აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის გაგებით, „ფულადი კომპენსაცია“, სხვებს შორის, მორალური ზიანის ანაზღაურებასაც მოიცავს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტი, რომელზეც მიუთითებს მე-9 მუხლი, არ იყო მიღებული მოცემულ მომენტში, მომჩივანთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საფუძველს მოკლებული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამდენად, არ იკვეთება, რომ უზენაესმა სასამართლომ გაიმეორა საოლქო სასამართლოს მსჯელობა მომჩივანთა სარჩელის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით.

22. მომჩივნებმა განაგრძეს მათი მშობლების ქონების კონფისკაციის მტკიცებულებათა ძებნა. 2006 წლის 4 დეკემბრის წერილით, უძრავი ქონების რეესტრის სააგენტომ მომჩივნებს აცნობა, რომ სადავო ბინა არქივში პირველად 1940 წელს გამოჩნდა, როგორც სახელმწიფოს საკუთრება. ამას გარდა მის შესახებ არავითარი სხვა ინფორმაცია არ არსებობდა.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი

23. სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 147

„ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“

მუხლი 152

„არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.“

მუხლი 413§1

„არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“

მუხლი 1005§3

„რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, წინასწარი პატიმრობის ან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების (...) შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს.“

24. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მუხლი 102§3

„საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.“

25. 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1§2

„ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე.“

თავი II
პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად
აღიარების წესი და შედეგები

მუხლი 6

„ამ კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და მისი დარღვეული უფლებების აღდგენა ხდება სასამართლო წესით.“

მუხლი 8 §§ 1 და 3

„პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება (...) რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით.“

მუხლი 9

„პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აგრეთვე მის პირველი რიგის მემკვიდრეს შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია, რომლის ოდენობას და გაცემის წესს ადგენს კანონი.“

თავი III
პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის
სოციალური დაცვის გარანტიები

მე-12 მუხლის 1-ელი და მე-2 პარაგრაფების შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს, ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში, - მის პირველი რიგის მემკვიდრეებს ეძლევათ ყოველთვიური პენსია, რომლის ოდენობა და დანიშვნის წესი განისაზღვრება კანონით. ისინი განთავისუფლებულნი არიან სხვადასხვა გადასახადისგან და სარგებლობენ შეღავათებით გაზის, ელექტროენერჯისა და ტელეფონის გადასახადებზე.

თავი V
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 14

« ეს კანონი ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან. »

არც გარდამავალი დებულებები და არც აღნიშნული კანონის სხვა დებულებები არ აწესებს იმ ვადას, რომელშიც მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფითა და მე-9 მუხლით გათვალისწინებული კანონი უნდა იქნეს მიღებული. აღნიშნული კანონები დღესაც არ არის მიღებული.

26. საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის 1937 წლის 15 აგვისტოს ოპერატიული ბრძანება (შესაბამისი დებულებები):

„ამ ბრძანების მიღებისთანავე, შეუდექით სამშობლოს მოღალატეების, მემარჯვენე-ტროცკისტული ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის წევრების, რომლებიც 1936 წლის 1 აგვისტოდან მსჯავრდადებული არიან სამხედრო კოლეგიით და სამხედრო ტრიბუნალით პირველი და მეორე კატეგორიით, ცოლების რეპრესირებას. ამ ოპერაციის განხორციელებისას იხელმძღვანელებთ შემდეგით:

3. რეპრესირებისათვის შერჩეულებს აპატიმრებენ. დაპატიმრება ფორმდება ორდერით (...).

7. მთელ ქონებას, რომელიც პირადად ეკუთვნის დაპატიმრებულს (...) – უკეთდება კონფისკაცია. მსჯავრდადებულების ბინები ილუქება.

8. მსჯავრდებულების დაპატიმრებული ცოლები ბადრაგის თანხლებით გადაჰყავთ ციხეში. ერთდროულად ქვემოთ აღნიშნული წესით, გამოჰყავთ ბავშვებიც (...).

12. მსჯავრდადებული სამშობლოს მოღალატეების ცოლები ექვემდებარებიან ბანაკებში პატიმრობას არანაკლებ 5-8 წლის ვადით პატიმრის სოციალური საშიშროების ხარისხის მიხედვით.

19. მსჯავრდადების შემდეგ დარჩენილი ყველა ობოლი ბავშვი მოთავსდეს:

ბ) სხვა რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების შესაბამისი ტერიტორიების გარეთ მდებარე ბავშვთა სახლებში (...).

24. ყველა ქალაქში, რომელსაც იწარმოებს ოპერაცია, სპეციალურად უნდა მოეწყოს:

(...) მისაღებ-გამანაწილებელი პუნქტები, რომლებშიც დედის დაჭერისთანავე გადაჰყავთ ბავშვები და საიდანაც ისინი შემდეგში გადაგზავნილი იქნებიან ბავშვთა სახლებში (...).“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

27. მომჩივნები ასაჩივრებენ იმ ფაქტს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებებისთვის შინაარსის მიცემის დაგვიანებით, სახელმწიფო მათ გაურკვევლობასა და მწუხარებაში ამყოფებს, რაც მათ ტანჯვას აყენებს და დამამცირებელ მოპყრობად აღიქმება

28. კონვენციის მე-3 მუხლის შემდეგნაირად იკითხება :

”არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.”

29. იმის უარყოფის გარეშე, რომ ხსენებული გაურკვეველობა შეიცავს ასპექტებს, რომლებსაც მომჩივნები ტკივილად და უსამართლობად აღიქვამენ, სასამართლო მაინც არ თვლის, რომ აღნიშნული სახელმწიფოს მხრიდან მომჩივანთა პიროვნებებისადმი ზიზღს ან უპატივცემულობას ან კიდევ მათი შეურაცხყოფისა და დამცირებისა მცდელობას ნიშნავს (იხ. სხვებს შორის, *D.H. et autres c. République tchèque* (déc.), n° 57325/00, 1^{er} mars 2005 ; *Raninen c. Finlande*, arrêt du 16 décembre 1997, *Recueil des arrêts et décisions* 1997-VIII, §55). შესაბამისად, სასამართლოს თვალში, გაპროტესტებული სიტუაცია არ წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას კონვენციის მე-3 მუხლის თვალსაზრისით.

30. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილი უნდა იქნეს კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე.

2. კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

31. მომჩივნები მიიჩნევენ, რომ იმ კანონების მიუღებლობა, რომლებზეც მითითებულია 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში, მაშინ როდესაც ისინი აუცილებელია აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლებებისთვის ეფექტის მინიჭების თვალსაზრისით, იწვევს კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გარანტირებულ უფლებათა დარღვევას, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

32. გარდა ამისა, მომჩივნები მიიჩნევენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, რომლებმაც არ დააკმაყოფილეს მათი სარჩელები ზემოხსენებული საკანონმდებლო ვაკუუმის გამო, მათ არ შესთავაზეს კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული

სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება. აღნიშნული მუხლი შემდეგნაირად იკითხება :

„ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

ა. მისაღებობა

1. მთავრობის პრეტენზია *ratione temporis* შეუსაბამობასთან დაკავშირებით

ა. მთავრობის არგუმენტები

33. მთავრობა მიიჩნევს, რომ ევროპული სასამართლოს მიერ იმ სადავო სასამართლო პროცედურის განხილვა, რომელიც, მისი აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან მიმართებით 1999 წლის 20 მაისსა და 2002 წლის 7 ივნისს, კონვენციისა და მისი 1-ელი დამატებითი ოქმის ძალაში შესვლამდე მომხდარ ფაქტებთან, აღნიშნულ ინსტრუმენტებს უკუმაღას მიანიჭებდა (*Stamoulakatos c. Grèce* (n° 1), arrêt du 26 octobre 1993, série A n° 271, p. 14, §33; *Multiplex c. Croatie* (déc.), n° 58112/00, 26 septembre 2002).

34. აღნიშნული მით უფრო შეესაბამება სიმართლეს, რომ წინამდებარე საქმეში, მთავრობის თანახმად, არ არსებობს „განგრძობადი სიტუაცია“ და რომ „არსებითი განსხვავებები და ფაქტორების დიდი რაოდენობა“ იწვევს წინამდებარე საქმის წინააღმდეგობას საქმესთან *Almeida Garrett, Mascarenhas Falcão et autres c. Portugal* (n°s 29813/96 და 30229/96, CEDH 2000-I).

35. უპირველეს ყოვლისა, მომჩივნებმა ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, რომ ისინი რაიმე ქონების მესაკუთრენი იყვნენ 60 წლის წინ და რომ მათ ქონება ჩამოერთვათ. მთავრობა შეახსენებს, რომ მომჩივნები აღიარებულ იქნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლებად მხოლოდ და მხოლოდ მათი მშობლების დასჯის, მათი დედის დაპატიმრებისა და გადასახლებაში მათივე თავისუფლების აღკვეთის გამო, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, საქმისგან *Almeida Garrett, Mascarenhas Falcão et autres c. Portugal* განსხვავებით, სახელმწიფოს არ ჰქონდა ვალდებულება, გადაეხადა რაიმე კომპენსაცია გასაჩივრებული ჩამორთმევისთვის. კომპენსაციის მიღების უფლება მომჩივნებს მე-9 მუხლის საფუძველზე მიენიჭათ 2002 წლის 7 ივნისამდე 5 წლით ადრე და ამასთანავე, ახალი კანონის მიღების პირობით, რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო აღნიშნული მუხლის გამოყენების წესები და პირობები.

36. გარდა ამისა, საქმისგან *Almeida Garrett, Mascarenhas Falcão et autres c. Portugal* განსხვავებით, საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, 2002 წლის 7 ივნისის შემდეგ, სადავო კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებული არავითარი ტექსტი არ მიუღიათ (იხ. *a contrario*, *Almeida Garrett et autres* ხსენებული ზემოთე, §43), ვინაიდან, ამგვარ ტექსტს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები მოჰყვებოდა. და ბოლოს, 2002 წლის 7 ივნისსა და მთავრობისთვის წინამდებარე საჩივრის ცნობებას შორის მხოლოდ რამდენიმე წელია გასული, მაშინ როდესაც ხსენებულ პორტუგალიურ საქმეში, 1-ელი დამატებითი ოქმის რატიფიკაციასა და ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვას შორის პერიოდი 20 წელიწადს აჭარბებდა.

37. ასეთ პირობებში, მთავრობა სასამართლოს სთავაზობს, გამოიყენოს იგივე მსჯელობა, რასაც მან მიმართა *Acimović* -ის საქმეში (*Acimović c. Croatie* (déc.), n° 61237/00, 7 novembre 2002), რათა წინამდებარე საჩივარი მიუღებლად იქნეს ცნობილი როგორც *ratione temporis* შეუსაბამო კონვენციის დებულებებთან.

ბ) მომჩივანთა არგუმენტები

38. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ისინი აპროტესტებდნენ არა რეპრესიის, გადასახლებისა და ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა რეჟიმის დროს, არამედ იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით, ქართულ სახელმწიფოს არ განუსაზღვრავს კომპენსაციის წესები, რათა შინაარსი მიანიჭოს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულ მათ უფლებას.

39. მომჩივნები თვლიან, რომ მათი საჩივარი *Broniowski*-ს საქმის მსგავსია (*Broniowski c. Pologne* [GC], n° 31443/96, CEDH 2004-V). გარდა ამისა, მთავრობისგან განსხვავებით, ისინი თვლიან, რომ წინამდებარე საქმე არ განსხვავდება საქმისგან *Almeida Garrett, Mascarenhas Falcão et autres c. Portugal*. მომჩივნების თანახმად, შეუძლებელია მათთვის იმ არგუმენტის წაყენება, რომ მათ ვერ შეძლეს ქონების ჩამორთმევის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებების წარმოდგენა, გამომდინარე იქიდან, რომ მათი დედის დაპატიმრება და გადასახლება, 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანების შესაბამისად, აუცილებლად გამოწვევდა ქონების სრულ ჩამორთმევას. მათი მტკიცებით, აღნიშნული ბრძანება და თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები მიღებული უნდა ყოფილიყო ეროვნული მოსამართლეების მიერ, როგორც საკმარისი მტკიცებულებები. ქონების კონფისკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნამ მათ გადაჭარბებული მტკიცების ტვირთი დააკისრა. თუკი მაინც მოხდება მათი მდგომარეობის განსხვავება *ალმეიდასა* და სხვების მდგომარეობისგან, მომჩივნები შეახსენებენ, რომ აღნიშნულ საქმეში, *პორტუგალიამ*, როგორც მინიმუმ, მომჩივნებს მიაკუთვნა წინასწარი კომპენსაცია (*Almeida Garrett et autres*, ხსენებული ზემოთ, §§ 9 და 23).

40. თუმცა როგორც არ უნდა იყოს მთავრობისა და ეროვნული სასამართლოების არგუმენტები ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებით, მომჩივნები შეახსენებენ, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, მათ აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება უფრო ზოგადი საფუძვლით, გადასახლების გამო განცდილი მორალური ზიანიდან და უკანონო დაპატიმრებიდან გამომდინარე. ამასთანავე, უზენაესმა სასამართლომ თავის *obiter dictum*-ში დაადასტურა აღნიშნული უფლების არსებობა.

41. დასკვნის სახით, მომჩივნები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი აპროტესტებენ ეროვნული სასამართლოების მიერ მათი სარჩელების არდაკმაყოფილების ფაქტს, რომელიც მხოლოდ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით *in fine* განსაზღვრული „კანონის“ არარსებობას ეფუძნება, აღნიშნული არარსებობა კი სახელმწიფოს უმოქმედობის შედეგია. მთავრობისგან განსხვავებით, მომჩივნები არ თვლიან, რომ 2002 წლის 7 ივნისის შემდეგ განვლილი პერიოდი არ არის საკმარისად გრძელი მათ გაურკვევლობის მდგომარეობაში უსამართლოდ ჩაყენებისთვის.

გ) სასამართლოს შეფასება

42. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისთვის არ მიუმართავთ მომჩივანთა მშობლებისთვის, 1937 წელს, სსრკ შს სახალხო კომისრის ბრძანების შესაბამისად, ქონების ჩამორთმევის საკითხის განხილვის მოთხოვნით (იხ. §38 ზემოთ და §50 ქვემოთ). წინამდებარე საჩივრის მიზანია დადგინდეს, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (საკუთრების უფლების აღდგენა) და მე-9 მუხლების (პატიმრობიდან ან გადასახლებიდან გამომდინარე მორალური ზიანი) შესაბამისად, აქვთ თუ არა მომჩივნებს, როგორც დევნილი მშობლების შვილებს და თავად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებს, ქონებრივი უფლებები და ასეთი უფლებების არსებობის შემთხვევაში, იქნა თუ არა ისინი დაცული.

43. ამ კუთხით, სასამართლო შენიშნავს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი ძალაში შევიდა 1998 წლის 1-ელ იანვარს. ამის შემდგომ, როგორც ამას მთავრობაც ადასტურებს, აღნიშნული კანონის მე-8 (§3) და მე-9 მუხლებთან მიმართებით, არავითარი საკანონმდებლო ტექსტი არ ყოფილა მიღებული. 2002 წლის 7 ივნისს, საქართველოსთან მიმართებით კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის ძალაში შესვლის შემდეგ არსებული აღნიშნული საკანონმდებლო სიცარიელე, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონს კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გაგებით, „მცისიერ“ ხასიათს არ ანიჭებს (იხ. მაგალითად, *Blečić c. Croatie* [GC], n° 59532/00, §86, CEDH 2006-III). სასამართლოსთვის, ის უფლებები, რომლებიც მომჩივნებს აღნიშნული კანონის მე-8 (§3) და მე-9 მუხლებით, კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის ძალაში შესვლამდე მიენიჭათ, აგრძელებდა არსებობას რატიფიკაციის დროს და 2006 წლის 22 თებერვალს,

სასამართლოში საჩივრის შეტანის დროსაც (*Broniowski*, ხსენებული ზემოთ, §125 ; *von Maltzan et autres c. Allemagne* (déc.) [GC] n^{os} 71916/01, 71917/01 et 10260/02, §74 d) *in fine*, CEDH 2005-V; *Beshiri et autres c. Albanie*, n^o 7352/03, §82, 22 août 2006). აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის კუთხით შეაფასოს კანონის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიუღებლობა, რომელიც გაგრძელდა 2002 წლის 7 ივნისის შემდეგ და რომლის წინაშეც მომჩივნები კვლავაც დგანან. თუკი მართალია, რომ სასამართლო, *ratione temporis* არ არის კომპეტენტური, მხედველობაში მიიღოს განხილული სიტუაციის ერთი ნაწილი, რომელიც 2002 წლის 7 ივნისამდე არსებობდა, ის მაინც ვალდებული იქნება ანგარიში გაუწიოს აღნიშნულ პერიოდს იმ პრეტენზიების განხილვის ფარგლებში, რომლებითაც მას მიმართეს (იხ. სხვათა შორის, *Broniowski c. Pologne* (déc.) [GC], n^o 31443/96, §§ 74-77, CEDH 2002-X ; *Sovtransavto Holding c. Ukraine*, n^o 48553/99, § 58, CEDH 2002-VII).

44. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ვერ დაეყრდნობა იმ მსჯელობას, რომელიც მან ზემოთ, 33-ე და 37-ე პარაგრაფებში გამოიყენა. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია სასამართლოს *ratione temporis* არაკომპეტენტურობის შესახებ, უარყოფილ უნდა იქნეს.

2. მთავრობის პრეტენზია *ratione materiae* შეუსაბამობასთან დაკავშირებით

ა) მთავრობის არგუმენტები

45. უპირველეს ყოვლისა, მთავრობა სასამართლოს სთხოვს, გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ახალმა, დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი მიიღო, როგორც აღიარებისა და სსრკ-ის რეჟიმის მიერ ჩადენილი სისასტიკის დაგმობის აქტი. მთავრობის თანახმად, თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულ სისასტიკეზე და ვერც მომჩივნებისთვის 1937-1938 წლებში განცდილი ზიანისთვის კომპენსაციის გადახდა. მთავრობა კითხულობს, იქნებოდნენ თუ არა მომჩივნები უფრო კმაყოფილები, ქართულ სახელმწიფოს, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის მოლოდინში, საერთოდ რომ არ ეღიარებინა მათთვის წინა რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსი.

46. მთავრობისთვის, ვიდრე არ მოხდება 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) და მე-9 მუხლებით *in fine* გათვალისწინებული კანონების მიღება, მომჩივანთა უფლება, მიიღონ კომპენსაცია, ვერ იქნება საკმარისად დადგენილი ქონებრივი უფლება კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გაგებით. მთავრობის აზრით, ხსენებული მე-9 მუხლი მხოლოდ მომჩივანთათვის „*მსხვერპლის სტატუსის უბრალო აღიარებას ახდენს*“ და „*არაპირდაპირ*“ ადგენს, რომ შემდგომი კანონი, რომელიც აუცილებელია მათი კომპენსაციის უფლების ეფექტიანობისთვის,

მიღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო მზად იქნება, იკისროს შესაბამისი ფინანსური ტვირთი. აღნიშნულმა სასამართლოს სამუალება უნდა მისცეს დაასკვნას, რომ მოცემულ შემთხვევაში, პროპორციული თანაფარდობა არ დარღვეულა.

47. რაც შეეხება აღნიშნული კანონების მიღების თარიღების არარსებობას, მთავრობის აზრით, ეს არ ნიშნავს მომჩივანთა უფლებების დარღვევას, ვინაიდან აღნიშნული გამომდინარეობს საკმაოდ ვრცელი შეფასების ზღვარიდან, რომელიც მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს აღნიშნულ სფეროში გააჩნიათ.

48. ჯამში, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) და მე-9 მუხლებით *in fine* გათვალისწინებული კანონების მიუღებლობისა და ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივანთა სარჩელების დაუკმაყოფილებლობის გათვალისწინებით, კომპენსაციის მიღების უფლება, რომელსაც ისინი სასამართლოს წინაშე უსვამენ ხაზს, მთავრობის აზრით, არ წარმოადგენს აშკარა, რეალურ და გამოყენებად უფლებას (*Raffineries grecques Stran et Stratis Andreadis c. Grèce*, arrêt du 9 décembre 1994, série A n° 301-B, §§ 59-61 ; *Bourdov c. Russie*, n° 59498/00, §40, CEDH 2002-III). შედეგად, საჩივარი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან.

ბ) მომჩივანთა არგუმენტები

49. მომჩივნები თვლიან, რომ კანონით გარანტირებული კომპენსაციის უფლება წარმოადგენს „ქონებას“, რომელიც ავტონომიური ცნებაა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გაგებით (*Pressos Compania Naviera S.A. et autres c. Belgique*, arrêt du 20 novembre 1995, série A n° 332, §31 ; *Kopecký c. Slovaquie* [GC], n° 44912/98, §47, CEDH 2004-IX ; *Broniowski*, ხსენებული ზემოთ, §§ 125, 133 et 146). გარდა ამისა, ასეთი უფლება, თუკი ის გარანტირებულია კანონით, წარმოადგენს საკუთრებას, სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 152-ე მუხლების შესაბამისად.

50. მომჩივანთა მტკიცებით, ისინი არ ისწრაფვიან იმისკენ, რომ ამჟამინდელი ქართული სახელმწიფო დამნაშავედ იქნეს ცნობილი მათ მიმართ კომუნისტური რეჟიმის დროს ჩადენილ სისასტიკეში, თუმცა ისინი არ თვლიან, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი მხოლოდ კეთილი ნების გამოხატულებაა მათთვის მსხვერპლის სტატუსის აღიარების მიზნით. პირიქით, აღნიშნულმა კანონმა მათ გარკვეული რაოდენობის კონკრეტული უფლებები მიანიჭა, რომელთაგან რამდენიმე, სხვათა შორის, ეფექტურად ხორციელდება. მაგალითად, აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, 1998 წლიდან, თითოეული მომჩივანი ყოველთვიურად იღებს დაახლოებით 23 ევროს ოდენობის პენსიას და სარგებლობს სოციალური დახმარების სხვა ღონისძიებებით. წარმოადგინეს რა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, მომჩივნები არ თვლიან, რომ სახელმწიფო მათ ყოველთვიურ პენსიას მხოლოდ კეთილი ნების უბრალო გამოხატულების გამო უხდის.

51. მომჩივნები უპირისპირდებიან მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლი ეფექტურ ძალას მხოლოდ მას შემდეგ შეიძენს, რაც მოხდება შემდგომი კანონის მიღება. მომჩივნები ასევე შეახსენებენ, რომ ფინანსური სახსრების უკმარისობის არგუმენტი არ ამართლებს ვალდებულების შეუსრულებლობას (*Bourdov*, ხსენებული ზემოთ, §35). მომჩივანთა თანახმად, ფინანსური რესურსები არსებობს, მაგრამ არ არსებობს პოლიტიკური ნება.

52. და ბოლოს, მომჩივნები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) მუხლისგან განსხვავებით, რომლის თანახმად, ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი „*განისაზღვრება ცალკე კანონით*“, იმავე კანონის მე-9 მუხლი იმპერატიულია უფლების არსებობასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც მხოლოდ განხორციელების წესების განსაზღვრაა აუცილებელი.

გ) სასამართლოს შეფასება

53. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენცია ხელმომწერ სახელმწიფოებს არ აკისრებს არავითარ განსაკუთრებულ ვალდებულებას, აღმოფხვრან მათი წინამორბედების მიერ დაშვებული უსამართლობა ან მათ მიერ მიყენებული ზიანი (*Ernewein et autres c. Allemagne* (déc.), n° 14849/08, 12 mai 2009). ამასთანავე, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი სახელმწიფოებს არ უწესებს არავითარ შეზღუდვას იმ პირობების არჩევის თავისუფლებაში, რომლებშიც ისინი თანახმანი არიან, აღუდგინონ საკუთრების უფლება ქონებაჩამორთმეულ პირებს ან განსაზღვრონ ის წესები, რომელთა მიხედვითაც ისინი გადაუხდიან ანაზღაურებას ან კომპენსაციას შესაბამის პირებს (*von Maltzan et autres*, შემოხსენებული განჩინება, §77).

54. მოცემულ საქმეში სასამართლო მიიჩნევს, რომ მან უნდა განსაზღვროს, არის თუ არა ქონებრივი უფლებების აღდგენის უფლება (1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) მუხლი) ერთი მხრივ და მორალური ზიანის კომპენსაციის უფლება (იმავე კანონის მე-9 მუხლი) მეორე მხრივ, საკმარისად ჩამოყალიბებული ეროვნულ სამართალში იმისათვის, რომ განმცხადებლებს მიენიჭოთ „ქონებრივი“ უფლებები, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გაგებით და ამგვარად, მოუწოდოს აღნიშნული დებულების დაცვისკენ. ამ მხრივ საჭიროა იმის შეხსენება, რომ მოცემულ სფეროში ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „ქონების“ ცნება შეიძლება მოცავდეს, როგორც „ამჟამინდელ ქონებას“, ისე ქონებრივ ღირებულებებს, მათ შორის, ვალებს, რომლებზე დაყრდნობითაც მომჩივანს შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს სულ ცოტა „ლეგიტიმური მოლოდინის“ ქონაზე, მიიღოს სარგებელი საკუთრების უფლებიდან (*Malhous c. République tchèque*, (déc.) [GC], n° 33071/96, 13 décembre 2000 ; *Pine Valley Developments Ltd et autres c. Irlande*, 29 novembre 1991, §51, série A n° 222).

i. ქონებრივი უფლებების აღდგენის უფლება (1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) მუხლი)

55. სასამართლო აღნიშნავს, რომ არიან რა 1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა შვილები და სასამართლოს მიერ თავად აღიარებულნი მსხვერპლებად, მომჩივნებმა ეროვნულ სასამართლოებს მიმართეს სარჩელით მორალური და მატერიალური კომპენსაციის თაობაზე, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად (იხ. §17 ზემოთ). ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებმა თავიანთ მოთხოვნებს დაუმატეს მათი დედის კუთვნილი ქონების ჩამორთმევით (მათი მამა კონფისკაციის პერიოდში დაიღუპა) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მათ პირდაპირ არ გაუკეთებიათ მინიშნება აღნიშნული კანონის მე-8 (§3) მუხლზე, რათა ემტკიცებინათ, რომ ჰქონდათ „ქონებრივი უფლებების აღდგენის“ უფლება. აღნიშნულის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც საოლქო, ისე უზენაესმა სასამართლოებმა, მხარეთა თანდასწრებით განიხილეს მომჩივანთა მე-8 (§3) მუხლიდან გამომდინარე უფლების საკითხი, ისე რომ ეს უკანასკნელი ამას არ შეწინააღმდეგებინ, უნდა მივიჩნიოთ, რომ მომჩივნები მართლაც ცდილობდნენ აღნიშნული დებულების საფუძველზე ასევე მიეღოთ ფულადი კომპენსაცია.

56. საქმის მასალებიდან და ეროვნული სასამართლოების წინაშე მომჩივანთა პოზიციიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხაზს უსვამდნენ რა თავიანთ ქონებასთან დაკავშირებულ უფლებებს, მომჩივნები მიზნად არ ისახავდნენ მათი დედის კუთვნილი მოძრავი და უძრავი ქონების აღდგენას. ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი საკუთრების უფლების აღდგენის იმედი, შეუძლებელია მიჩნეული ყოფილიყო, როგორც „ქონება“ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გაგებით (*Gratzinger et Gratzingerova c. République tchèque (déc.)* [GC], n° 39794/98, §69 *in fine*, CEDH 2002-VII). მომჩივანთა ამოცანა მდგომარეობდა ხსენებული კონფისკაციის ღონისძიებიდან გამომდინარე ზიანის სანაცვლოდ კომპენსაციის მიღებაში (იხ. *Sokolowski c. Pologne (déc.)*, n° 39590/04, 7 juillet 2009).

57. 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) მუხლის გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონმდებელმა „ცალკე კანონი“ აუცილებლად მიიჩნია პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ქონებრივი უფლებების აღდგენის წესის განსაზღვრის მიზნით. სასამართლოს წინაშე მომჩივნები თვითონვე ეთანხმებოდნენ იმ ფაქტს, რომ იმავე კანონის მე-9 მუხლისგან განსხვავებით, რომელიც მორალურ ზიანს ეხება, სადავო მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი არ არის ისეთივე „იმპერატიული“ მის მიერ დადგენილი უფლების არსებობასთან დაკავშირებით (იხ. §52 ზემოთ).

58. მართლაც, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის ცალკე აღებული მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი არ იძლევა იმის გაგების საშუალებას, თუ რა სახის ქონება (ნაციონალიზებული, დროთა განმავლობაში მესამე პირებზე – კეთილსინდისიერ

შემძენებზე - გაყიდული და ა.შ.) იქნება მიჩნეული შესაბამისი უფლებების „აღდგენის“ საფუძველად; მიიღებს თუ არა აღნიშნული აღდგენა რესტიტუციის - თანაბარი ღირებულების ქონების ან ფულადი კომპენსაციის მიცემის - ფორმას იქ სადაც ეს შესაძლებელი იქნება; პირთა რომელ კატეგორიებს შეეძლება აღნიშნული უფლების მოთხოვნა (ძველ მესაკუთრეებს და შესაბამისად, პირდაპირ მსხვერპლებს, მათ შთამომავლებს და ა.შ.) და რა მოცულობით; რომელი უწყება იქნება პასუხისმგებელი შესაბამისი ქონების იდენტიფიცირებასა და მისი ღირებულების დადგენაზე და ა.შ. ამრიგად, ბევრ სხვას შორის, აღნიშნული კრიტერიუმები განსაზღვრას საჭიროებს და ამისთვის სახელმწიფოს შეფასების ფართო ზღვარი გააჩნია. (*von Maltzan et autres*, ზემოხსენებული განჩინება, §§ 74 (d) et 111).

59. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს თვალში, მხოლოდ შემდგომი კანონის მიღება მისცემს მომჩივნებს საშუალებას, შეაფასონ, არიან თუ არა ისინი, როგორც ქონებაჩამორთმეული მესაკუთრეების 1-ელი რიგის მემკვიდრეები, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (§3) მუხლით გათვალისწინებული ქონებრივი უფლებების აღდგენის ადრესატები (იხ, *mutatis mutandis, Gratzinger et Gratzingerova*, ზემოხსენებული განჩინება, §§ 72-75) და თუ არიან, რა ფარგლებში. მანამდე, საკითხი იმის შესახებ, დააკმაყოფილებენ თუ არა ისინი კომპენსაციის მიღების კანონით დადგენილ პირობებს როდესაც ამისი დრო დადგება, გადაუწყვეტელი რჩება, რაც არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას იმის თაობაზე, რომ 2005 წელს ეროვნული სასამართლოებისადმი მიმართვის მომენტში, აღნიშნული მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფის გამოყენებით, მომჩივანთა სასარგებლოდ არსებობდა მოთხოვნადობისთვის საკმარისად ჩამოყალიბებული ქონებრივი ინტერესი (იხ, *mutatis mutandis, Kopecký*, ხსენებული ზემოთ, §58, CEDH 2004-IX).

60. დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პარაგრაფი, იმ სახით, რა სახითაც ის ძალაშია 1998 წლის 1-ელი იანვრის შემდეგ, არ წარმოშობს რეალურ და მოთხოვნად ვალს, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა „ლეგიტიმური მოლოდინის“ დამყარება (იხ, *a contrario, Pressos Compania Naviera S.A. et autres*, ხსენებული ზემოთ, §31).

61. შესაბამისად, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის აღნიშნული ნაწილი *ratione materiae* შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე.

62. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს „დასაცავი პრეტენზია“, როდესაც საქმე ეხება საჩივრის აღნიშნულ ნაწილს, კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებული მომჩივანთა პრეტენზია ასევე უარყოფილი უნდა იქნეს კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე (იხ. სხვებს შორის, *Zehnalová et Zehnal c. République tchèque* (déc.), n° 38621/97, CEDH 2002-V).

ii. პატიმრობისა და გადასახლების გამო განცდილი მორალური ზიანის კომპენსაციის უფლება (1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლი)

63. სასამართლო შეახსენებს, რომ როდესაც შესაბამისი ქონებრივი ინტერესი, რომელზეც მომჩივანი პრეტენზიას აცხადებს, ვალის კატეგორიას განეკუთვნება, მისი მიჩნევა „ქონებად“ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ეროვნულ სამართალში საკმარისი საფუძველი აქვს, მაგალითად, როდესაც ის დადასტურებულია კარგად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკით (იხ. სხვათა შორის, *Roche c. Royaume-Uni* [GC], n° 32555/96, §129, CEDH 2005-X ; *Slavov et autres c. Bulgarie* (déc.), n° 20612/02, 2 décembre 2008).

64. მოცემულ შემთხვევაში, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქეს, რომელიც აღიარებული იქნება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, 1921 წლის თებერვალსა და 1990 წლის ოქტომბერს შორის პერიოდში, შეუძლია ფულადი კომპენსაციის მიღება აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, თუკი დადასტურებულია, რომ მან განიცადა თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, სპეციალური დასახლების ადგილზე მოთავსება ან თუ იგი გარდაიცვალა აღნიშნული ღონისძიებების შედეგად. მსხვერპლის 1-ელი რიგის მემკვიდრეები ასევე სარგებლობენ აღნიშნული უფლებით.

65. სასამართლო აღნიშნავს, რომ ორივე მომჩივანი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს. მართლაც, აღიარებული იქნენ რა სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად, მომჩივნები ასევე არიან რეპრესირებული მშობლების შვილები, რომელთა მსხვერპლის სტატუსი, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მიზნებიდან გამომდინარე ასევე სასამართლოს მიერ იქნა აღიარებული. ის ფაქტი, რომ განმცხადებლებმა და მათმა მშობლებმა განიცადეს ზემოთ, მე-7 - მე-9 და მე-11 პარაგრაფებში აღნიშნული რეპრესიის აქტები, ეჭვქვეშ არ დამდგარა არც ეროვნული და არც ევროპული სასამართლოების წინაშე (იხ. §35 ზემოთ).

66. ამგვარად მორალური კომპენსაციის უფლებას, რომელზეც მომჩივნები აცხადებენ პრეტენზიას, აქვს სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ სამართალში, რომლის გამოყენების პირობებსაც ისინი აკმაყოფილებენ (იხ., *a contrario*, *Ernewein et autres*, ზემოხსენებული განჩინება, et *Epstein et autres c. Belgique* (déc.), n° 9717/05, CEDH 2008-... (ამონარიდები) აგრეთვე, *mutatis mutandis*, *Jantner c. Slovaquie*, n° 39050/97, §§ 29-33, 4 mars 2003).

67. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ მომჩივნებს აქვთ აღნიშნული უფლება, დადასტურდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ. უზენაესი სასამართლოს თანახმად, მომჩივნებს შეუძლიათ მორალური კომპენსაციის მოთხოვნა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, რომელიც, წინამდებარე საქმის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 413-ე (§1) მუხლით გათვალისწინებულ „კანონს“, რომელიც არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი

ანაზღაურების მოთხოვნას ითვალისწინებს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. უზენაესმა სასამართლომ მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი მორალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნა მხოლოდ იმ მიზეზით უარყო, რომ „მოცემულ მომენტში“ არ არსებობდა შესაბამისი გამოსაყენებელი საკანონმდებლო ტექსტები (იხ. §21 ზემოთ). ქონებრივი უფლებების აღდგენის უფლებისგან განსხვავებით, მას ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის გარემოება, რომ როდესაც აღნიშნული ტექსტები მიღებული იქნება, ეს აუცილებლად შეეხება მომჩივნებს და მათ შეეძლებათ მორალური ზიანისთვის კომპენსაციის მიღება აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე. მექანიზმის ასამოქმედებლად საჭიროა მხოლოდ თითოეული მომჩივნის მიერ განცდილი ზიანის შესაბამისად, კომპენსაციის „თანხისა“ და მისი „გაცემის წესის“ განსაზღვრა. აღნიშნული მიზეზის გამო, სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომლის თანახმად, მორალური კომპენსაციის უფლება, როგორც ასეთი, მომჩივანთა მიერ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება მე-9 მუხლით *in fine* გათვალისწინებული შემდგომი კანონის მიღება (იხ. §46 ზემოთ). აღნიშნული ინტერპრეტაცია არ ეკუთვნის უმაღლეს ეროვნულ სასამართლო ინსტანციას და გარდა ამისა, ის არც მე-9 მუხლიდან ან 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის სხვა დებულებიდან გამომდინარეობს.

68. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოებისათვის მიმართვის მომენტში, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მომჩივნებს გააჩნიათ მოთხოვნადობისთვის საკმარისად დადგენილი ვალი, რომლის დაფარვაც მათ შეუძლიათ სახელმწიფოს მოსთხოვონ. აღნიშნული იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ საჩივრის ამ ნაწილში 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გამოყენება შესაძლებელია. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია *ratione materiae* შეუსაბამობასთან დაკავშირებით, ვერ იქნება მიღებული.

69. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანთა მიერ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლისა და კონვენციის მე-13 მუხლის, როგორც 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით მათთვის გარანტირებული უფლების, საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები მისაღებად უნდა იქნეს ცნობილი.

ბ. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

70. მთავრობას არ წარმოუდგენია მიმოხილვა პრეტენზიების არსებით მხარესთან დაკავშირებით. რაც შეეხება მომჩივნებს, ისინი შემოიფარგლნენ მტკიცებით, რომ მთავრობის ზემოაღნიშნული პრეტენზიები დაუსაბუთებელი იყო

და რომ შესაბამისად, ადგილი ჰქონდა 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლითა და კონვენციის მე-13 მუხლით მათთვის გარანტირებული უფლებების დარღვევას.

2. სასამართლოს შეფასება

71. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით დაცული უფლების ეფექტიან განხორციელებას აბრკოლებს მორალური კომპენსაციის რაოდენობისა და გაცემის წესის შესახებ კანონის მიუღებლობა. ამრიგად, სადავო სიტუაცია გამომდინარეობს 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის 1-ელი აბზაციდან, რომელიც ზოგადი სახით ადგენს საკუთრების პატივისცემის უფლებას (*Broniowski*, §136).

72. სასამართლო დაეყრდნობა იმ პრინციპს, რომ იმის მიუხედავად, რომ ქართული სახელმწიფოს უმოქმედობის საფუძველს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონი წარმოადგენს, რომელიც მე-9 მუხლში *in fine* გათვალისწინებული კანონის მიღებას შემდგომში ითვალისწინებს. მომჩივანთა საკუთრების პატივისცემის უფლების შელახვა ან შეზღუდვა, გარკვეულწილად „კანონით გათვალისწინებულია“. სასამართლოს აზრით, აღნიშნული უმოქმედობის ბუნება და შედეგები, რომლებსაც ის იწვევს 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან შესაბამისობის თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რათა განისაზღვროს, დაიცვა თუ არა საქართველოს ხელისუფლებამ ზუსტი ბალანსი განხილულ ინტერესებს შორის (იხ. §75 ქვემოთ).

73. 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლომ უნდა გაარკვიოს, დაცული იქნა თუ არა ზუსტი ბალანსი საზოგადოებრივი ინტერესების მოთხოვნებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებებთან დაცვის იმპერატივებს შორის. განსაკუთრებით, სასამართლომ უნდა დააზუსტოს, განიცადეს თუ არა მომჩივნებმა არაპროპორციული და გადაჭარბებული სიმძიმის შედეგები სახელმწიფოს უმოქმედობის გამო (*Hutten-Czapska c. Pologne* [GC], n° 35014/97, §167 *in fine*, CEDH 2006-VIII). ამ მხრივ სასამართლო შეახსენებს, რომ ზოგადი ინტერესის განსაზღვრის მიზნით, სახელმწიფოებს შეფასების ფართო ზღვარი გააჩნიათ. თუმცა აღნიშნული შეფასების შესაძლებლობა განუსაზღვრელი არ არის და მისი განხორციელება ექვემდებარება კონვენციის ორგანოების კონტროლს (იხ. სხვებს შორის, *Almeida Garrett et autres*, ხსენებული ზმით, §§ 49 et 52).

74. ვინაიდან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხარეებს მიმოხილვები არ წარმოუდგენიათ (იხ. §70 ზემოთ), სასამართლოს არ შეუძლია ივარაუდოს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხელისუფლებისთვის საზოგადოებრივი ინტერესი მდგომარეობდა „მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ფინანსურ შედეგებში“ (იხ. §§ 34 და 36 ზემოთ), რომლებიც შესაძლოა გამოეწვია მომჩივნებისთვის მორალური კომპენსაციის თანხის განსაზღვრას. მთავრობას არავითარი არგუმენტი არ წარმოუდგენია აღნიშნული პოლიტიკური შედეგების ხასიათთან დაკავშირებით და

არც დამატებითი ახსნა-განმარტება გაუკეთებია იმ ფინანსური გავლენის შესახებ, რომელიც მომჩივნებისთვის მორალური კომპენსაციის გადახდას შეიძლება მოეხდინა ქვეყნის ბიუჯეტზე. მაგალითად, მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი დაზუსტება ფინანსურ და საბიუჯეტო შესაძლებლობების შესახებ ან კვლევა მომჩივნებისა და მათ მსგავს მდგომარეობაში მყოფი სხვა პირებისთვის კომპენსაციის გადახდისთვის აუცილებელი რესურსების შესახებ.

75. ნებისმიერ შემთხვევაში, იმის დაშვებითაც კი, რომ მოცემულ საქმეში, სახელმწიფოს უმოქმედობა, იქნება ეს ჩარევა თუ მოქმედებისგან თავის შეკავება (*Broniowski*, §146), კანონიერ მიზანს ემსახურება, სასამართლოს არაფერი არ აძლევს იმის დასკვნის საფუძველს, რომ დაცული იქნა ზუსტი ბალანსი პირისა და საზოგადოების ინტერესებს შორის. კერძოდ, სასამართლო ვერ ხედავს მიზეზებს, რომელთა გამოც სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულება, მაშინ როდესაც მას 11 წელიწადზე მეტი ჰქონდა, რომ გადაედგა თუნდაც მცირე ნაბიჯი 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით *in fine* გათვალისწინებული კანონის მიღების პროცესის დაწყებისკენ, კერძოდ, ზუსტად განესაზღვრა მსხვერპლთა რაოდენობა, განეხორციელებინა ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური კვლევა საზოგადოების იმ წევრთა მოგებისა და დანაკარგების შესახებ, რომლებსაც აღნიშნული პროცესი შეეხოთ. მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი მოტივირებული და დამაჯერებელი არგუმენტი აღნიშნული სრული უმოქმედობის განმარტების მიზნით. როდესაც საქმე ეხება საზოგადოებრივ ინტერესს, ხელისუფლება ვალდებულია, სათანადო დროში მოახდინოს კორექტული და რაც შეიძლება თანმიმდევრული რეაგირება (*Broniowski*, ხსენებული ზემოთ, §151 ; *mutatis mutandis*, *Beyeler c. Italie* [GC], n° 33202/96, §§ 110 *in fine* et 120 *in fine*, CEDH 2000-I). ამგვარად, სასამართლოს თვალში, როდესაც ქართულმა სახელმწიფომ გააკეთა მორალური და ფინანსური არჩევანი საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი მისი მოქალაქეების სასარგებლოდ, მას, როგორც მინიმუმ საქართველოსთან მიმართებით 1-ელი დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ მაინც, უნდა განეხორციელებინა შესაბამისი მოქმედებები და ჩაეტარებინა შესაბამისი სამუშაო, რათა მომჩივნები განუსაზღვრელი დროით არ ყოფილიყვნენ გაურკვევლობაში, რომლის წინააღმდეგ, სხვათა შორის, ამ უკანასკნელებს მიმართვის არავითარი ეფექტიანი შიდასამართლებრივი საშუალება არ გააჩნიათ. ამას ემატება ის ფაქტი, რომ როგორც ჩანს, სახელმწიფო არ არის მზად, ჩაატაროს აღნიშნული სამუშაო და ამგვარად, ის ხანდაზმულ მომჩივნებს ტოვებს ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე, სიცოცხლეში ისარგებლონ მათთვის 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით მინიჭებული უფლებით.

76. ასეთ პირობებში, სასამართლო ასკვნის, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს სრული უმოქმედობა, რომელმაც მომჩივნებს ხელი შეუშალა, გონივრულ ვადაში, ეფექტიანად ესარგებლათ მორალური კომპენსაციის მიღების უფლებით, მათ განაცდევინებს არაპროპორციულ და გადაჭარბებულ შედეგებს, რომლებიც არ შეიძლება გამართლებული იქნეს მოცემულ საქმეში

ხელისუფლების მიერ დაცული, ეგრეთ წოდებული კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესით (იხ. §74 ზემოთ).

77. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევას.

78. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს მომჩივანთა მიერ კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების განცალკევებით განხილვას (იხ. §32 ზემოთ), ასევე საჩივრის განხილვას აღნიშნული დებულების კუთხით.

III. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

79. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად,

„1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.“

ა) კონვენციის 46-ე მუხლი

80. მომჩივანთა მხრიდან სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის განხილვამდე, სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია იმ შედეგების განხილვა, რაც წინამდებარე გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოსთვის, კონვენციის 46-ე მუხლის კუთხით.

81. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან. მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას უწევს გადაწყვეტილებათა აღსრულებას. კერძოდ, ეს გულისხმობს იმას, რომ როდესაც სასამართლო ადგენს დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს აქვს იურიდიული ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არა მხოლოდ გადაურიცხოს მომჩივანს კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული

სამართლიანი დაკმაყოფილების სახით სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხა, არამედ, მინისტრთა კომიტეტის კონტროლქვეშ, შეარჩოს ის ინდივიდუალური და/ან ზოგადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია მის სამართლებრივ სისტემაში სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევის გამოსწორების მიზნით და მაქსიმალურად აღმოფხვრას მისგან გამოწვეული საზიანო შედეგები.

82. პრინციპში, სახელმწიფო თავისუფალია, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, შეარჩოს ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ის აპირებს მასზე კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული იურიდიული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს (*Scozzari et Giunta c. Italie* [GC], n° 39221/98 et 41963/98, §249, CEDH 2000-VIII ; *Assanidzé c. Géorgie* [GC], n° 71503/01, §§ 198 et 202, CEDH 2004-II). მაგრამ, როდესაც გამოვლენილია სტრუქტურული ხარვეზი, ეროვნული ორგანოების ვალდებულებაა, მინისტრთა კომიტეტის მეთვალყურეობით და თუ საჭიროა, რეტროაქტიულადაც, მიიღონ აუცილებელი ზომები, კონვენციის სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად (იხ. სხვებს შორის, *Broniowski*, ხსენებული ზემოთ, §§ 192 et 193 ; *Xenides-Arestis c. Turquie*, n° 46347/99, §§ 39 et 40, 22 décembre 2005 ; *Ghigo c. Malte* (satisfaction équitable), n° 31122/05, §§ 25-28, 17 juillet 2008 ; *Lukenda c. Slovénie*, n° 23032/02, §§ 89 et suivants, CEDH 2005-X ; *Scordino c. Italie (n° 1)* [GC], n° 36813/97, § 233, CEDH 2006), იმგვარად, რომ შემდგომში სასამართლოს აღარ მოუხდეს მსგავსი დარღვევების განმეორებით დადგენა მრავალრიცხოვან ანალოგიურ საქმეებში (*Driza c. Albanie*, n° 33771/02, §123 *in fine*, CEDH 2007-... (ამონარიდები) ; *Ramadhi et autres c. Albanie*, n° 38222/02, §§ 93 et 94, 13 novembre 2007 ; *Gülmez c. Turquie*, n° 16330/02, §§ 62 et suivants, 20 mai 2008 ; *Dybeku c. Albanie*, n° 41153/06, §§ 63 et 64, 18 décembre 2007).

83. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო შეახსენებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის (Rés(2004)3) რეზოლუციას, რომელშიც კომიტეტმა, ხაზი გაუსვა რა მის ინტერესს, დაეხმაროს სახელმწიფოებს მსგავსი პრობლემების გამოვლენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაში, (რეზოლუციის პრეამბულის მე-7 აბზაცი) შესთავაზა სასამართლოს, „მოახდინოს სისტემური ხარვეზებისა და მათ წყაროების იდენტიფიცირება იმ გადაწყვეტილებებში, რომლებშიც ის დაადგენს დარღვევებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ხარვეზებს შეუძლია გამოიწვიოს მრავალრიცხოვანი საჩივარების შეტანა სასამართლოში აღნიშნული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამგვარად, დაეხმაროს სახელმწიფოს შესაბამისი გამოსავლის პოვნაში, ხოლო მინისტრთა კომიტეტს - აღსრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებაში” (რეზოლუციის §1).

84. რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, სასამართლო იძულებულია მივიდეს დასკვნამდე, რომ საკანონმდებლო ვაკუუმის პრობლემა, რომელიც მან დაადგინა, არ ეხება მხოლოდ მომჩივნებს. მომჩივანთა მიერ მოწოდებული მონაცემების თანახმად, იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც მსგავსი სახის დარღვევის გამომწვევი სიტუაცია შეეხოთ, კატეგორიების მიხედვით 600-დან 16 000-მდე მერყეობს (იხ. ზემოთ §20 *in*

fine). შესაბამისად, აღნიშნულმა სიტუაციამ შესაძლოა სათავე დაუდოს სასამართლოში დიდი რაოდენობით საჩივრების წარდგენას იმგვარად, რომ მომავალში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს კონვენციით ჩამოყალიბებული მექანიზმის ეფექტიანობა.

85. ასეთ პირობებში, სასამართლო თვლის, რომ მოცემული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, ეროვნულ დონეზე უდავოდ უნდა გატარდეს ზოგადი ღონისძიებები. სწრაფად უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და საბიუჯეტო ზომები, რათა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლში გათვალისწინებულ პირებს მიეცეთ აღნიშნული დებულებით გარანტირებული უფლებით ეფექტიანი სარგებლობის შესაძლებლობა.

ბ) კონვენციის 41-ე მუხლი

1. ზიანი

86. მომჩივნები მთავრობისგან მოითხოვენ მათთვის 61 660 ევროს გადახდას მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, ვინაიდან ხელისუფლების უმოქმედობამ მათ ხელი შეუშალა, სრულად ესარგებლათ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული უფლებებით. კერძოდ, სპეციალისტების მიერ მომზადებულ შეფასებით მოხსენებაზე დაყრდნობით, მომჩივნები ამტკიცებენ, რომ 2006 წლის 20 ნოემბრისთვის, მათი მშობლების საცხოვრებელ მისამართზე მდებარე 90 მ² ფართობის ბინის ღირებულება 70 000 ამერიკულ დოლარს (47 446 ევროს) შეადგენდა და რომ ჩამორთმეულ ბინაში არსებული ავეჯის მიახლოებითი ღირებულება 7 030 ევროს შეადგენდა.

87. გარდა ამისა, მომჩივნები მოითხოვენ 15 000 ევროს თითოეული მათგანისთვის იმ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, რომელიც მათ განიცადეს წლების განმავლობაში გარკვევლობასა და იმედგაცრუებაში ცხოვრების გამო, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონით მათთვის გარანტირებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობის არქონიდან გამომდინარე. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ მართალია, მათ მიერ ბავშვობიდან გადატანილ ტანჯვას ვერავითარი თანხა ვერ აანაზღაურებს, მაგრამ მოთხოვნილი თანხა მათთვის გარკვეული მორალური გამხნეება იქნებოდა.

88. კვლავ ამტკიცებს რა, რომ მომჩივნებმა მაინც ვერ შეძლეს მათი მშობლების სადავო ქონებაზე მათი საკუთრების უფლების არსებობის დამტკიცება, მთავრობა მიიჩნევს, რომ ამ კუთხით წარმოდგენილი მათი მოთხოვნა უარყოფილი უნდა იქნეს. დანარჩენთან დაკავშირებით, მთავრობას კომენტარები არ წარმოუდგენია.

89. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, ვინაიდან საქმე არ ეხება ზემოაღნიშნული დადგენილი დარღვევიდან პირდაპირ გამომდინარე, ნამდვილად განცდილ მატერიალურ დანაკარგს (*Comingersoll c. Portugal* [GC], n° 35382/97, §29, CEDH 2000-

IV), სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მომჩივნებისთვის ამ კუთხით თანხის მიკუთვნების საფუძველი.

90. მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი სიტუაციის გამო, მომჩივნებს, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებს, რომლებიც შესაბამისად, 82 და 83 წლისანი არიან, უდავოდ მიადგათ მორალური ზიანი, რომლის ასანაზღაურებლად წინამდებარე გადაწყვეტილებაში დადგენილი კონვენციის დარღვევა საკმარისი არ არის. შესაბამისად, თუკი კვლავ არ მოხდება წინამდებარე გადაწყვეტილების 85-ე პარაგრაფში აღნიშნული აუცილებელი ღონისძიებების (საკანონმდებლო და სხვა სახის) გატარება, მოპასუხე სახელმწიფომ, თითოეულ მომჩივანს, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის განმავლობაში, უნდა გადაუხადოს 4 000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

2. ხარჯები და დანახარჯები

91. ქალბატონ ს. ჯაფარიძის მიერ ევროსასამართლოს წინაშე მათი ინტერესების დაცვის ხარჯების ანაზღაურების სახით, მომჩივნები ითხოვენ 2 125 ევროს, ანუ საათში 50 ევროს, ასევე 950 ფუნტ სტერლინგს (1 050 ევროს) ბატონი ვ. ლიჩის მიერ ევროსასამართლოს წინაშე მათი ინტერესების დაცვის ხარჯების ანაზღაურების სახით, ანუ საათში 100 ფუნტ სტერლინგს (110 ევროს). მომჩივნებმა წარმოადგინეს თარიღები და მათი თითოეული ადვოკატის მიერ საჩივრისა და სამთავრობო მიმოხილვის პასუხის მომზადებაზე დახარჯული საათების რაოდენობა.

92. ამასთანავე, მომჩივნები ითხოვენ 72 ევროსა და 90 ფუნტი სტერლინგის (99 ევრო) ანაზღაურებას „საია“-სა და „EHRAC“-ის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შესრულებული სხვადასხვა საქმიანობის ანაზღაურების სახით (დოკუმენტების თარგმნის უზრუნველყოფა, ფაქსი, ფოსტით გაგზავნა და ა.შ.). გარდა ამისა, მოთხოვნილ იქნა 328,56 ფუნტი სტერლინგის (363 ევროს) ანაზღაურება დოკუმენტების ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის ხარჯების ანაზღაურების სახით (დამადასტურებელი დოკუმენტი თანდართულია). სხვა ხარჯები, რომელთა გალების შესახებ მომჩივნები ირწმუნებიან წარმოდგენილ დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად, შემდეგია: დაახლოებით 56 ევრო *თბილისიდან სტრასბურგში* სწრაფი ფოსტით წერილების გაგზავნის ხარჯების ანაზღაურების სახით (მაგრამ მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნულ წერილებთან ერთად მიღებულ სწრაფი ფოსტის ფორმულარებს), 2,8 ევროს, რომელიც მომჩივნებმა გადასახადის სახით გადაუხადეს უძრავი ქონების რეესტრის სააგენტოს ინფორმაციის

მიღებისთვის, 80 ევროს იმ სპეციალისტისთვის გადახდილი თანხის ანაზღაურების სახით, რომელმაც დაადგინა სადავო ბინის საბაზრო ღირებულება. სხვადასხვა სამდივნო მომსახურების (საერთაშორისო სატელეფონო ზარები და ა.შ.) ხარჯების ანაზღაურება 70 ფუნტი სტერლინგის (77 ევროს) ოდენობით, ასევე იქნა მოთხოვნილი, შესაბამისი ქვითრების წარმოდგენის გარეშე.

93. მთავრობას საკუთარი კომენტარები არ წარმოუდგენია.

94. აღნიშნულ სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე (იხ. სხვებს შორის, *ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ*, საჩივარი №23204/07, §§ 118 და 120, 2009 წლის 3 მარტი) და იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნები სათანადოდ არის დასაბუთებული და უკავშირდება დადგენილ დარღვევას, ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო მომჩივნებს მიაკუთვნებს 1 950 და 1 050 ევროს, ქალბატონ ს. ჯაფარიძისა და ბატონ ფ. ლიჩის მიერ ევროპული სასამართლოს წინაშე მათი ინტერესების დაცვის ხარჯების ანაზღაურების სახით, ასევე 537 ევროს სხვა ხარჯების ანაზღაურების სახით.

გ) საურავი

95. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო :

1. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, მისაღებად *ცნობს* მომჩივანთა მიერ კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლისა და კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს, რომლებიც ეხება 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებას, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს - მიუღებლად;

2. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, *ადგენს*, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევას;

3. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, *ადგენს*, რომ არ არსებობს განმცხადებელების მიერ კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების განცალკევებით განხილვის აუცილებლობა;

4. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, *ადგენს*, რომ

ა). თუკი კვლავ არ მოხდება წინამდებარე გადაწყვეტილების 85-ე პარაგრაფში აღნიშნული აუცილებელი ღონისძიებების (საკანონმდებლო და სხვა სახის) გატარება, მოპასუხე სახელმწიფომ, თითოეულ მომჩივანს, კონვენციის 44-ე (§1) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

i. 4 000 (ოთხი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით;

ii. აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ). მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივნებს ერთობლივად, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

i. 3 537 (სამი ათას ხუთას ოცდაჩვიდმეტი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით;

ii. აღნიშნულ თანხას დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

გ). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი ;

4. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ, *უარყოფს* მომჩივნების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით, 2010 წლის 2 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის (§§ 2 და 3) შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე

სასამართლოს რეგლამენტის 45-ე მუხლის (§2) და 74-ე მუხლის (§2) შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე კაბრალ-ბარეტოს განსხვავებული აზრი.
ფ.ტ.
ს.ჟ.დ.

მოსამართლე კაბრალ ბარეტოს განსხვავებული აზრი

სინანულით უნდა ავნიშნო, რომ მე ვერ შევძელი, დავთანხმებოდი უმრავლესობას, როდესაც მან დაადგინა კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევა 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით.

1. უმრავლესობა განასხვავებს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 (საკუთრების უფლების აღდგენა) და მე-9 მუხლებს (ფულადი კომპენსაცია პოლიტიკური რეპრესიის გამო).

პირველ შემთხვევაში, სავარაუდოდ, არ არსებობს რეალური და მოთხოვნადი ვალი, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა ლეგიტიმური „მოლოდინის“ დამყარება (გადაწყვეტილების §60), მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში, სავარაუდოდ არსებობს „მოთხოვნადობისთვის საკმარისად განსაზღვრული ვალი“ (§ 68).

ჩემი მხრივ, მე ვერ ვხედავ ვერავითარ განსხვავებას 1997 წლის 11 დეკემბრის კანონში არსებულ ორ სიტუაციას შორის.

საკუთრების უფლების აღდგენისთვის, მე-8 მუხლი ითხოვს „ცალკე კანონს“; ფულადი კომპენსაციისთვის კი მე-9 მუხლი ადგენს, რომ კომპენსაციის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენს კანონი.

ორივე შემთხვევაში, საჭიროა შემდგომი საკანონმდებლო ჩარევა აღნიშნული უფლებების განსაზღვრისა და დაკონკრეტების მიზნით.

სწორად ამ ნაკლოვანებას ეხება მომჩივანთა პრეტენზიები, რომლებიც „ჩივიან, რომ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებებისთვის შინაარსის მიცემის დაგვიანებით, სახელმწიფო მათ გაურკვევლობასა და მწუხარებაში ამყოფებს (...)“ (§ 27) და რომ „იმ კანონების მიუღებლობა, რომლებზეც მითითებულია 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებში, მაშინ როდესაც ისინი აუცილებელია აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული უფლებებისთვის ეფექტის მინიჭების თვალსაზრისით, იწვევს კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გარანტირებულ უფლებათა დარღვევას“ (§31).

2. სახელმწიფოს ქცევა, ჩემი აზრით, გასაკრიტიკებელია როგორც ერთ, ისე მეორე სიტუაციაში, 1997 წლის შემდეგ გასული დრო საკმარისად გრძელია იმისათვის, რომ სავარაუდო ბენეფიციარებში ადგილი ჰქონდეს მწუხარებისა და უიმედობის შეგრძნებას.

მაგრამ აღნიშნული არ არის საკმარისი კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევის დასადგენად.

აღნიშნული დებულების დარღვევის დასადგენად, აღიარებულ უნდა იქნეს, რომ მომჩივნები წარმოადგენენ სახელმწიფოსთვის „მოთხოვნადი“ ქონების მესაკუთრეებს.

„მოთხოვნად“ ქონებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლოს პრაქტიკა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „(...) როდესაც შესაბამისი ქონებრივი ინტერესი ვალის კატეგორიას განეკუთვნება, მისი მიჩნევა „ქონებრივ ღირებულებად“ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ეროვნულ სამართალში საკმარისი საფუძველი აქვს, მაგალითად, როდესაც ის დადასტურებულია კარგად ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკით“ (*Kopecký c. Slovaquie* [GC], n° 44912/98, §52, CEDH 2004-IX).

მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლოებმა, კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, მიიჩნიეს, რომ „იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტი, რომელზეც მიუთითებს მე-9 მუხლი, არ იყო მიღებული, მოცემულ მომენტში, მომჩივანთა მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, საფუძველს მოკლებული იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო“ (§ 21).

არის რა ეროვნულ დონეზე საფუძველს მოკლებული იმ კანონის მიღებამდე, რომელიც დააზუსტებს ფულადი კომპენსაციის ოდენობასა და გაცემის წესს, 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული ფულადი კომპენსაცია არ არის „მოთხოვნადი“. ამას ამტკიცებდნენ ეროვნული სასამართლოები და მე ამას ვეთანხმები.

აღნიშნულ კონტექსტში და ჩვენი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, მოვალე ვარ, დავასკვნა, რომ მოთხოვნადი ვალის არსებობა არ არის დადგენილი არც კანონში და არც ქართული სასამართლოების პრაქტიკაში; მაშასადამე, მომჩივნები არ წარმოადგენენ „ამჟამინდელი ქონების“ მფლობელებს, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ საკმარისად განსაზღვრული, დაუყოვნებლივ მოთხოვნადი ვალი.

როგორც თვით მომჩივნები აღიარებენ, მათი უფლებებისთვის ეფექტის მისანიჭებლად, აუცილებელია კანონების მიღება.

3. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევას.